



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი

ქ. თბილისი

მოსამართლე -- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №60/18

-- 2018 წლის 22 თებერვლის №60 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup>-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 ოქტომბრის №60 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

-- აღნიშნავს, რომ -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე -- ტენდენციურად და პირადი ინტერესების გათვალისწინებით განიხილა მის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი.

კერძოდ, საჩივრის ავტორის (ბრალდებული) განცხადებით, მოსამართლე -- პირადი ინტერესები ჰქონდა მის ყოფილ მეუღლესთან (ამჟამად დაზარალებული) --, რის გამოც წლების წინ მოსამართლესა და -- შორის მოხდა უსიამოვნო ინციდენტი.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად, -- დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოადგინა მასსა და მის ყოფილ მეუღლეს შორის არსებული მიმოწერა.

საჩივრის ავტორის შეფასებით, ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, მოსამართლე ვალდებული იყო აეცილებინა საქმის განხილვა და არ განეხილა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2017 წლის 20 დეკემბერს -- წარედგინა ბრალი, საქართველოს სსკ 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, 2017 წლის 25 დეკემბერს, პროკურორმა -- შუამდგომლობით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და ითხოვა -- მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება, 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

-- საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2017 წლის 26 დეკემბრის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ცვლილებით და ბრალდებულ -- აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

-- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 დეკემბრის განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ.

-- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ -- 2018 წლის 11 იანვარს განიხილა და დაუშვებლად ცნო ბრალდებულ -- ინტერესების დამცველი ადვოკატის - -- საჩივარი, -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 დეკემბრის განჩინებაზე.

მოსამართლე -- შეფასებით, გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული და კანონიერია, ხოლო წარდგენილი საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სსკ 207-ე მუხლით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს.

## **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის

საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- ბრალდებულ -- მიმართ მიიღო სუბიექტური და ტენდენციური განჩინება, ვინაიდან არსებობდა საქმეზე მოსამართლის აცილების საფუძველი.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალების შესწავლის შედეგად, არ გამოვლინდა რაიმე ფაქტი, რომელიც დაადასტურებდა მოსამართლის პროცესის მონაწილეებთან პირად ურთიერთობებს და აღნიშნულის საფუძველზე სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების ფაქტს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვერ იმსჯელებს საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ პირად მიმოწერებთან დაკავშირებით, ვინაიდან მათი ავთენტურობა დადგენილი არ არის.

რაც შეეხება პროცესუალურ მხარეს, საქართველოს სსსკ 207-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ განჩინება შეიძლება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 48 საათში სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივროს პროკურორმა, ბრალდებულმა ან/და მისმა ადვოკატმა. საჩივარი შეიტანება განჩინების გამომტან სასამართლოში, რომელიც ამ საჩივარსა და მასალებს დაუყოვნებლივ უგზავნის შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. გასაჩივრება არ აჩერებს განჩინების აღსრულებას.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად, ამ კოდექსის 206-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, მისი შეტანიდან არაუგვიანეს 72 საათისა. მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს, კერძოდ, წყვეტს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნებს, ამასთანავე, გამოიკვლია თუ არა ან შეაფასა თუ არა მან ამ კოდექსით დადგენილი წესით არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა პირისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.

ამდენად, მოსამართლე -- მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

#### 4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 75<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75<sup>10</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტით და 75<sup>12</sup>-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

#### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №60/18 მოსამართლე -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი